

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

KA030156298085614

№ 01-359/ო

29 / დეკემბერი / 2014 წ.

დასაქმების ხელშეწყობის მომსახურებათა განვითარების პროგრამისა და დასაქმების ხელშეწყობის მომსახურებათა განვითარების პროგრამის 2015–2018 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების თაობაზე

„საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 31 დეკემბრის N249 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ვბრძანებ:

მუხლი 1. დამტკიცდეს დასაქმების ხელშეწყობის მომსახურებათა განვითარების პროგრამა (დანართი N1) და დასაქმების ხელშეწყობის მომსახურებათა განვითარების პროგრამის 2015-2018 წლების სამოქმედო გეგმა და ბიუჯეტი (დანართი N1.1).

მუხლი 2. დაევალოს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებულ სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს გაატაროს ყველა საჭირო ქმედება დასაქმების ხელშეწყობის მომსახურებათა განვითარების პროგრამითა და დასაქმების ხელშეწყობის მომსახურებათა განვითარების პროგრამის 2015–2018 წლების სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების რეალიზების მიზნით.

მუხლი 3. ბრძანება ძალაშია 2015 წლის 1 იანვრიდან.

მინისტრი

დავით სერგუენკო

დასაქმების ხელშეწყობის მომსახურებათა განვითარების პროგრამა

შესავალი

საქართველოში უმუშევრობა ყველაზე მწვავე სოციალურ-ეკონომიკური პრობლემა და აქტუალური გამოწვევაა. იგი გვევლინება ქვეყანაში სიღარიბის განმაპირობებელ მთავარ ფაქტორად. უმუშევრობა მაღალია, როგორც ქალაქად, ისე სოფლად. უმუშევარ მოსახლეობას შორის დომინანტია ახალგაზრდობა, რაც კიდევ უფრო ზრდის სოციალურ რისკებს და საფრთხეს უქმნის ქვეყნის მომავალს. ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დაჩქარებისა და არსებული სოციალური პრობლემების გადაჭრისათვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს მოსახლეობის დასაქმების ხელშეწყობას, როგორც ბიზნეს-გარემოს სრულყოფის, ისე შრომის ბაზრის ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის საჭირო ღონისძიებების გატარების გზით.

საქართველომ 1991 წლიდან, დამოუკიდებლობის მიღების შემდეგ, მასიური სოციალურ-ეკონომიკურ-პოლიტიკური ცვლილებები გაიარა. საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად ინდუსტრიულ-ეკონომიკურმა სისტემის ჩამოშლამ, მთელი რიგი ეკონომიკური დარგების გაქრობამ, 90-იანი წლების დასაწყისში განვითარებულმა სამხედრო კონფლიქტებმა, იძულებით გადაადგილებულ პირთა დიდმა რაოდენობამ, ქვეყანაში არსებულმა არასტაბილურობამ და მრავალმა სხვა ფაქტორმა გამოიწვია უმუშევრობის მკვეთრი ზრდა, რასაც მოჰყვა მძიმე სოციალური მდგომარეობა.

90-იანი წლების მიწურულსა და 2000-იანი წლების დასაწყისში საქართველო შეუერთდა შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის კონვენციებს: კონვენცია დასაქმების პოლიტიკის შესახებ N122 (ძალაშია 22.06.1997), კონვენცია დასაქმების კერძო სააგენტოების შესახებ N181 (ძალაშია 27.08.2001), დასაქმების სამსახურის ორგანიზების შესახებ N88 (ძალაშია 11.09.2003), ასევე „ევროპის სოციალური ქარტია“ (ძალაშია 01.10.2005). აღნიშნული საერთაშორისო დოკუმენტების მოთხოვნათა გატარება ხელს შეუწყობდა ქვეყანაში უმუშევრობის შემცირებასა და შესაბამისად, მძიმე სოციალური მდგომარეობის გამოსწორებას. სწორედ ამ პერიოდში ფუნქციონირება დაიწყო დასაქმების სახელმწიფო ფონდმა და სამსახურმა, რომელთა მთავარ მიზანს წარმოადგენდა შრომის ბაზრის აქტიური პოლიტიკის გატარება (უმუშევართა რეგისტრაცია და სოციალური დაცვა, პროფკონსულტირება და სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება-გადამზადების სახელმწიფო პროგრამები, უმუშევართა დროებითი დასაქმების სახელმწიფო პროგრამები, სამუშაო ადგილების სუბსიდირების სახელმწიფო პროგრამები, მცირე ბიზნესის ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამები და ა.შ.).

2003 წლის შემდეგ მთავრობამ ფართომასშტაბიანი რეფორმები განახორციელა, რომელიც თავისუფალი ბაზრის პრინციპების შემოღებაზე იყო ორიენტირებული და კანონის უზენაესობას, კერძო სექტორის კონკურენციას, ბაზრების დერეგულაციასა და სამოქალაქო ცხოვრებაში სახელმწიფოს ჩარევის დრამატულად შემცირებას გულისხმობდა. მთავრობის ლიბერალურ მიდგომას 2005 წლიდან შრომის ბაზრის მნიშვნელოვანი ინსტიტუტებისა და პროგრამების თანდათან გაუქმება მოჰყვა, ხოლო 2006 წლიდან გაუქმდა კანონი „დასაქმების შესახებ“, დასაქმების სახელმწიფო სამსახურები ტრანსფორმირდა მხოლოდ სოციალური პოლიტიკის განხორციელების მიმართულებით, გაუქმდა შრომის ინსპექცია, შეწყდა უმუშევრობისა და თავისუფალი სამუშაო ადგილების აღრიცხვა, ხოლო შრომის ბაზრის აქტიური პოლიტიკა მხოლოდ ცალკეული და შეზღუდული არანაყოფიერი ინიციატივებით შემოიფარგლებოდა (2006-2007 წწ. სამუშაო ადგილებზე პროფესიული სწავლების პროგრამა).

უნდა აღინიშნოს, რომ 2004-2008 წლებში საქართველოს წლიურმა ეკონომიკურმა ზრდამ თითქმის 10%-ს მიაღწია, ხოლო პიკი 2007 წელს აღინიშნებოდა. 2008 წლის ორმაგი კრიზისის (გლობალური ფინანსური კრიზისი და შეიარაღებული კონფლიქტი რუსეთთან) ფონზე რამდენიმეწლიანი

ეკონომიკური შეფერხების შემდეგ, საქართველომ პოზიტიური ზრდა ისევ აჩვენა: 2011 წელს 6.8%. მიუხედავად ეკონომიკური ზრდისა, ქვეყნის მოსახლეობის სოციალური და ეკონომიკური განვითარების მნიშვნელოვანი ინდიკატორები მაინც არ გაზრდილა (მაგალითად, 2012 წლის ადამიანური განვითარების ინდექსის მიხედვით საქართველო 72-ე ადგილზე იყო 187 ქვეყანას შორის (UNDP, 2011)). სიღარიბე ჯერ კიდევ მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს. ოფიციალური სტატისტიკის მიხედვით 2013 წელს მოსახლეობის რეგისტრირებული სიღარიბის მაჩვენებელი 9.7%-ია. ხოლო უმუშევრობის დონე 14,6%-ია (მათ შორის ახალგაზრდების უმუშევრობა 15-29 წლის ასაკობრივ ჯგუფში - 30,7%). გარდა ამისა, მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდა არ შეესაბამება დასაქმების ზრდისა და საქართველოს ადამიანური რესურსების განვითარების მაჩვენებლებს.

საქართველოს მთავრობა დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ქვეყანაში შრომის ბაზრის მწვავე პრობლემების მოგვარების საჭიროებას. საქართველოს მთავრობის დღის წესრიგში არსებული მნიშვნელოვანი ინიციატივების საფუძველზე შეიქმნა შრომის ბაზრის საკითხებზე მომუშავე გარკვეული პასუხისმგებელი სტრუქტურები: საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალურ დაცვის სამინისტროში - შრომისა და დასაქმების პოლიტიკის დეპარტამენტი, ასევე სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს ბაზაზე ჩამოყალიბდა დასაქმების ხელშეწყობის სამსახური. მომზადდა შრომის ბაზრის ფორმირების სახელმწიფო სტრატეგია და შესაბამისი სამოქმედო გეგმა (02.08.2013. მთავრობის N199-ე დადგენილება და 2013-2014წწ. სამოქმედო გეგმა). 2013 წელს წარმატებით დასრულდა ევროკავშირის დელეგაციასთან საქართველოში დასაქმებისა და პროფესიული განათლებისა და გადამზადების სფეროში სექტორული რეფორმების მხარდაჭერის მიზნით საქართველოს მთავრობასა და ევროკავშირს შორის საფინანსო შეთანხმების მომზადება. შეთანხმება ხელმოწერილია საქართველოს მთავრობის 2013 წლის 26 დეკემბრის №2181 განკარგულების საფუძველზე. შეთანხმების თანახმად მომდევნო წლებში საქართველოში უნდა განხორციელდეს სექტორული რეფორმა დასაქმებისა და პროფესიული განათლებისა და გადამზადების მიმართულებით. აღნიშნული რეფორმის ბიუჯეტია 27 მილიონი ევრო. აღმოსავლეთ პარტნიორობის ინტეგრაციისა და თანამშრომლობის (EaPIC) 2013 პროგრამის ფარგლებში დამტკიცდა დამმობილების პროექტი (TWINNING) - „საქართველოში დასაქმების ხელშეწყობის მომსახურების (ESS) შესაძლებლობათა განვითარება“, რომლის ბენეფიციარია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო.

პროგრამის მიზანი

სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს დასაქმების ხელშეწყობის პროგრამის მთავარ მიზანს წარმოადგენს „საქართველოს შრომის ბაზრის ფორმირების სახელმწიფო სტრატეგიისა და საქართველოს შრომის ბაზრის ფორმირების სახელმწიფო სტრატეგიის რეალიზაციის სამოქმედო გეგმით, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სოციალური მომსახურების სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 27 ივნისის N190/5 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ვ²-ვ“ ქვეპუნქტებისა და „საქართველოში დასაქმების ხელშეწყობის მომსახურების (ESS) შესაძლებლობათა განვითარება“ დამმობილების პროექტით გათვალისწინებული ღონისძიებების გატარებით, ხელი შეუწყოს ქვეყანაში უმუშევრობის შემცირებას შრომის ბაზრის აქტიური პოლიტიკისა და დასაქმების ხელშეწყობის მომსახურებათა განვითარება/განხორციელებით.

პროგრამის ამოცანები

აღნიშნული მიზნის მისაღწევად სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტომ უნდა გადაჭრას შემდეგი ამოცანები:

1. ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების XXX დანართში იდენტიფიცირებული საკანონმდებლო ცვლილებების მოთხოვნათა შესაბამისად, გადახედოს, ჰარმონიზაციაში მოიყვანოს და/ან მოამზადოს დასაქმებასთან დაკავშირებული სააგენტოს შიდა სამოქმედო სამართლებრივი დოკუმენტები.
2. განალიზოს/განავითაროს დასაქმების ხელშეწყობის მომსახურებათა მიწოდების ინსტიტუციური მოწყობა.
3. განავითაროს სააგენტოს დასაქმების კომპონენტზე მომუშავე ადამიანური რესურსები.
4. შეაფასოს/გაანალიზოს და განავითაროს დასაქმების ხელშეწყობის არსებული მომსახურებები.
5. განავითაროს/სრულყოს შრომის ბაზრის მართვის საინფორმაციო სისტემა Worknet-ი, რაც მოიცავს სამუშაოს მაძიებელთა, დამსაქმებელთა, თავსუფალი სამუშაო ადგილების განათლების პროვაიდერებისა და სასწავლო პროგრამების რეგისტრაციას და ა.შ..
6. საქართველოს შრომის ბაზარზე საშუალო მომსახურების გაწევის ეფექტურად უზრუნველსაყოფად განავითაროს თანამშრომლობა ცალკეულ დამსაქმებლებთან, დამსაქმებელთა გაერთიანებებთან და დასაქმების კერძო სააგენტოებთან.
7. განავითაროს, დანერგოს და გაუწიოს სამუშაოს მაძიებლებს პროფკონსულტირებისა და კარიერის დაგეგმვის მომსახურებები, ასევე შრომის ბაზარზე ქცევის წესების გაცნობის მიზნით ჩაატაროს ზოგადი ინდივიდუალური და ჯგუფური კონსულტირებები.
8. განახორციელოს ან/და მონაწილეობა მიიღოს სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება-გადამზადებასთან დაკავშირებულ ღონისძიებათა ორგანიზებაში.
9. საჭიროებიდან გამომდინარე, განახორციელოს დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამები.
10. ხელი შეუწყოს საქართველოს შრომის ბაზარზე მოთხოვნა-მიწოდების მიმდინარე და პერსპექტიული ტენდენციების გამოვლენისა და კვლევითი საქმიანობას, ასევე დაამუშაოს და შრომის ბაზრის ინფორმაციული სისტემას (LMIS) მიაწოდოს სააგენტოში თავმოყრილი ინფორმაცია (რეგისტრირებული სამუშაოს მაძიებლებისა და თავისუფალი სამუშაო ადგილების შესახებ).
11. პერიოდულად მოაწყოს დასაქმების ფორუმები.
12. დასაქმების ხელშეწყობის საკითხებთან დაკავშირებით კომუნიკაციისა და ცნობადობის გაზრდის მიზნით შეიმუშაოს სტრატეგია და სამოქმედო გეგმა.
13. დასაქმების ხელშეწყობის საკითხებთან და არსებულ პრობლემებთან დაკავშირებით, სოციალურ პარტნიორებთან მჭიდრო თანამშრომლობით, პერიოდულად მოაწყოს კონფერენციები.
14. მოწყვლადი ჯგუფების დასაქმების ხელშეწყობის მიზნით განავითაროს უწყებათაშორისი თანამშრომლობა.
15. დასაქმების ხელშეწყობის მიზნით განავითაროს საერთაშორისო თანამშრომლობა.

პროგრამის შედეგები

1.1 სააგენტოს შიდა სამოქმედო ნორმატიული დოკუმენტები გადახედილია და ჰარმონიზაციაში ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმების XXX (დასაქმება, სოციალური პოლიტიკა და თანაბარი შესაძლებლობები) დანართში იდენტიფიცირებული საკანონმდებლო ცვლილებების მოთხოვნებთან.

2.1 დასაქმების ხელშეწყობის მომსახურებათა მიწოდებისათვის სააგენტოში განხორციელებულია ინსტიტუციური ცვლილებები, გადანაწილებულია ფუნქციები და როლები; ამასთან შიდა მენეჯმენტი და ადმინისტრაციული პროცესები ნათლად კოდიფიცირებულია.

3.1 სააგენტოს დასაქმების კომპონენტზე მომუშავე თანამშრომლებს შეძენილი აქვთ საჭირო უნარები და გამოცდილება, რათა სამსახურის მაძიებლებს მიაწოდონ მაღალი ხარისხის მომსახურებანი.

3.2 დაარსებულია და ეფექტურად ფუნქციონირებს შიდა გადამზადების პლატფორმა.

4.1 დასაქმების ხელშეწყობის მომსახურებები შეფასებულია, და შემუშავებულია მომსახურებათა მიწოდების ნორმატიული დოკუმენტები და მეთოდური სახელმძღვანელოები (საშუამავლო მომსახურება, ზოგადი ინდივიდუალური და ჯგუფური კონსულტირება).

5.1 განვითარებულია შრომის ბაზრის მართვის საინფორმაციო სისტემა Worknet-ი, სისტემა ფუნქციონირებს გამართულად, იძლევა სისტემაში განთავსებული ინფორმაციის დამუშავების და ანგარიშების მომზადების შესაძლებლობას.

6.1 თავისუფალი სამუშაო ადგილების მოძიებისა და საშუამავლო მომსახურების გაწევის მიზნით დამსაქმებლებთან და კერძო დასაქმების სააგენტოებთან განვითარებულია თანამშრომლობა სააგენტოს ტერიტორიულ ერთეულებში მუნიციპალურ დონეზე.

7.1 პროფკონსულტირებისა და კარიერის დაგეგმვის მოსახურებების გაწევისათვის შემუშავებულია მეთოდური სახელმძღვანელო.

7.2 პროფკონსულტირებისა და კარიერის დაგეგმვის მომსახურებების გაწევა ხდება სააგენტოს ტერიტორიულ ერთეულებში მუნიციპალურ დონეზე.

7.3 ხორციელდება ზოგადი ინდივიდუალური და ჯგუფური კონსულტირებები.

8.1 შრომის ბაზრის მოთხოვნებიდან გამომდინარე ხორციელდება სამუშაოს მაძიებელთა ჩართვა პროფესიული მომზადება-გადამზადების სახელმწიფო პროგრამებში.

9.1 საჭიროების შემთხვევაში, სააგენტოს კომპეტენციის ფარგლებში, სააგენტო ჩართულია და/ან ახორციელებს დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამებს.

10.1 შრომის ბაზრის ინფორმაციული სისტემისათვის სააგენტო წარმოადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან საინფორმაციო წყაროს და სისტემას ინფორმაციას აწვდის დადგენილი წესითა და პერიოდულობით.

11.1 სააგენტოს ორგანიზებით პერიოდულად (მინიმუმ წელიწადში ერთხელ) ტარდება დასაქმების ფორუმები.

12.1 დასაქმების ხელშეწყობის საკითხებთან დაკავშირებით კომუნიკაციისა და ცნობადობის გაზრდის მიზნით არსებობს სტრატეგია და სამოქმედო გეგმა, სააგენტოს აქვს ყველა შესაძლებლობა ეფექტური კომუნიკაციისათვის.

13.1 გარკვეული პერიოდულობით (მინიმუმ წელიწადში ერთხელ) ჩატარებულია კონფერენციები დასაქმების ხელშეწყობის საკითხებთან და არსებულ პრობლემებთან დაკავშირებით.

14.1 მოწყვლადი ჯგუფების დასაქმების ხელშეწყობის მიზნით განვითარებულია თანამშრომლობა სხვადასხვა სახელმწიფო უწყებებთან (განათლებისა და მეცნიერების, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის, იუსტიციის, სოფლის მეურნეობის, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროებთან და მათ დაქვემდებარებაში არსებულ სსიპ-ებთან, ასევე ადგილობრივ თვითმმართველობებთან).

15.1 დასაქმების ხელშეწყობისა და უმუშევრობის შემცირების მიზნით სააგენტო აქტიურად თანამშრომლობს სხვადასხვა საერთაშორისო, დონორ და არასამთავრობო ორგანიზაციებთან.

დასაქმების ხელშეწყობის მომსახურებათა განვითარების პროგრამის 2015-2018 წლების სამოქმედო გეგმა და ბიუჯეტი

შენიშვნა: * აღნიშნული აქტივობები განხორციელდება სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს ადმინისტრაციული ხარჯიდან

N	ქვეაქტივობები	პასუხისმგებელი ორგანიზაციები	მხარდამჭერი ორგანიზაციები	მოსალოდნელი შედეგები	შედეგის დადგომის ინდიკატორები	სავარაუდო დაფინანსება		განხორციელების გრაფიკი			
						მთავრობა (ლარი)	დონორი (EU)	2015	2016	2017	2018
დასაქმების ხელშეწყობის მომსახურებათა განვითარება						9,175,000.0	1,100,000.0	2,276,000.0	2,299,000.0	2,300,000.0	2,300,000.0
1. კანონმდებლობის ანალიზი და ევროკავშირის სამართლებრივ დოკუმენტებთან ჰარმონიზაცია.						10,000.0	X	10,000.0			
1.1.	ევროკავშირის თანაბარი შესაძლებლობის კანონმდებლობასთან და ასოცირების შესახებ შეთანხმების XXX დანართთან მიმართებაში სააგენტოს სამართლებრივი დოკუმენტების ანალიზი, მათი, შეაბამისობის დადგენა, დანაკლისების იდენტიფიცირება	სააგენტო Twinning პროექტი	ჯანდაცვა ევროკავშირი დამსაქმებლები, პროფკავშირები	სააგენტოს შიდა სამოქმედო ნორმატიული დოკუმენტები გადახედილია, განსახორციელებელი ცვლილებები იდენტიფიცირებულია	მომზადებულია ანგარიში სააგენტოს სამართლებრივი დოკუმენტების გადახედვისა და რეკომენდაციების შესახებ	-	X				
1.2.	ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმების XXX დანართში იდენტიფიცირებული საკანონმდებლო ცვლილებების მოთხოვნათა შესაბამისად, სააგენტოს სამართლებრივი დოკუმენტების ჰარმონიზაციაში მოიყვანა და/ან დასაქმებასთან დაკავშირებული, სააგენტოს შიდა სამოქმედო ნორმატიული დოკუმენტების მოამზადება;	სააგენტო Twinning პროექტი	ჯანდაცვა ევროკავშირი დამსაქმებლები, პროფკავშირები	სააგენტოს შიდა სამოქმედო ნორმატიული დოკუმენტები ჰარმონიზაციაშია ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების XXX დანართში იდენტიფიცირებული საკანონმდებლო ცვლილებების მოთხოვნებთან	განხორციელებულია ცვლილებები სააგენტოს დებულებაში, შემუშავებულია დამატებითი ნორმატიული დოკუმენტები	-	X				

1.3.	სამართლებრივი ცვლილებების განხორციელება*	სააგენტო Twinning პროექტი	ჯანდაცვა ევროკავშირი დამსაქმებლები, პროფკავშირები	სოციალური მომსახურების სააგენტოს ყველა ტერიტორიული ერთეული ხელმძღვანელობს ახალი სამართლებრივი დოკუმენტებით	სააგენტოს ტერიტორიული ერთეულების დასაქმებაზე პასუხისმგებელი თანამშრომლების ახალ რეგულაციებთან დაკავშირებული ტრენინგების ანგარიშები. ახალი რეგულაციებით ხელმძღვანელობის ცოდნის ხარისხის შემოწმება ტესტირების საფუძველზე	10,000.0	X				
2. სააგენტოს ინსტიტუციური მოწყობისა და ადამიანური რესურსების განვითარება						40,000.0	X	16,000.0	24,000.0		
2.1.	დასაქმების ხელშეწყობის მომსახურებათა მიწოდების ინსტიტუციური მოწყობის ანალიზი	სააგენტო Twinning პროექტი	ჯანდაცვა, ევროკავშირი ფინანსები	დასაქმების ხელშეწყობის მომსახურებათა მიწოდებისათვის სააგენტოში გასაზღვრულია ინსტიტუციური ცვლილებების საჭიროებები სააგენტოს ფუნქციებისა და როლების შესაბამისად	მომზადებულია ანგარიში სააგენტოს ინსტიტუციური მოწყობის შეფასებისა და რეკომენდაციების შესახებ	-	X				
2.2.	დასაქმების ხელშეწყობის მომსახურებათა მიწოდების ინსტიტუციური მოწყობის რეფორმის სამოქმედო გეგმის შემუშავება	სააგენტო Twinning პროექტი	ჯანდაცვა, ევროკავშირი ფინანსები	დასაქმების ხელშეწყობის მომსახურებათა მიწოდებისათვის სააგენტოში განსაზღვრულია ინსტიტუციური ცვლილებები, გადანაწილებულია ფუნქციები და როლები;	სააგენტოს დასაქმების ხელშეწყობის ინსტიტუციური მოწყობის სამოქმედო გეგმა მენეჯმენტი და ადმინისტრაციული რესურსები, ასევე მართვის პროცესები ნათლად განსაზღვრულია	-	X				

2.3	დასაქმების ხელშეწყობის მომსახურებათა მიწოდების ინსტიტუციური მოწყობის რეფორმის განხორციელება	სააგენტო Twinning პროექტი	ჯანდაცვა, ევროკავშირი მუნიციპალიტეტები ფინანსები	სააგენტოს მისია და რეგულაციები შესწორებულია; შეთავაზებული სერვისების სპექტრი გადახედულია, ადამიანური რესურსების ეფექტურადაა გადანაწილებული,	რეფორმის სამოქმედო გეგმის მიხედვით მომზადებულია რეფორმის განხორციელების ანგარიში	-	X				
2.4.	სააგენტოს დასაქმების კომპონენტზე მომუშავე ადამიანური რესურსების განვითარების პოლიტიკის შესწავლა	სააგენტო Twinning პროექტი	ჯანდაცვა ევროკავშირი მუნიციპალიტეტები	სააგენტოს დასაქმების კომპონენტზე მომუშავე ადამიანური რესურსების განვითარების პოლიტიკის შემუშავება	მომზადებულია ანგარიში ადამიანური რესურსების განვითარებაზე, შემუშავებულია რეკომენდაციები	-	X				
2.5.	სააგენტოს დასაქმების კომპონენტზე მომუშავე ადამიანური რესურსების განვითარება/სწავლება*	სააგენტო Twinning პროექტი	შჯსდ, ევროკავშირი მუნიციპალიტეტები	დასაქმების კომპონენტზე პასუხისმგებელი ადამიანური რესურსის ცოდნა და უნარები შესაბამისობაშია სააგენტოს მხრიდან განსახორციელებელი აქტივობებისა და მომსახურებების მიწოდებასთან	მომზადებულია ადამიანური რესურსების განვითარების გზამკვლევი. მომზადებულია ტრენინგების პროგრამა და მასალები. ჩატარებულია ტრენინგები . დაარსებულია და ეფექტურად ფუნქციონირებს შიდა შეფასებისა და გადამზადების პლატფორმა	40,000.0	X	16,000.0	24,000.0		
3. დასაქმების ხელშეწყობის მოსახურებათა განვითარება, სამუშაოს მაძიებელთა დასაქმების ხელშეწყობა						8,842,000.0	X	2,225,000.0	2,249,000.0	2,264,000.0	2,264,000.0
3.1.	დასაქმების ხელშეწყობის არსებულ მომსახურებების შეფასება და ანალიზი	სააგენტო Twinning პროექტი	ჯანდაცვა ევროკავშირი დამსაქმებლები, პროფკავშირები	განსაზღვრულია დასაქმების ხელშეწყობის მომსახურებათა სახეები სააგენტოს ინსტიტუციური მოწყობისა და ადამიანურ/ფინანსური კაპიტალიდან გამომდინარე	მომზადებულია ანგარიში და რეკომენდაციები	-	X				

3.2.	შრომის ბაზრის მართვის საინფორმაციო სისტემის - worknet.gov.ge-ს განვითარება, ადმინისტრირება, მონიტორინგი შედეგების დამუშავება და ანალიზი	სააგენტო Twinning პროექტი	ჯანდაცვა განათლება ევროკავშირი დამსაქმებლები, პროფკავშირები	სამუშაოს მაძიებელთა, დამსაქმებელთა, ვაკანსიების, განათლების პროვადერების აღრიცხვისა და მონაცემთა ბაზების განვითარება, შრომის ბაზრის სუბიექტების უზრუნველყოფა მათი საქმიანობის მხარდამჭერი სისტემით.	სამუშაოს მაძიებელთა, დამსაქმებელთა, ვაკანსიების, საგანმანათლებლო პროვადერებისა და პროგრამების რეგისტრაცია სისტემაში ხორციელდება შეუფერხებლად. სისტემა იძლევა ურთიერთკავშირების დამყარების საშუალებას. სისტემაში არსებული მონაცემების დამუშავების საშუალებას	200,000.0	X	150,000.0	50,000.0		
3.3.	სამუშაო მომსახურების გაწევა/განვითარება	სააგენტო	დამსაქმებლები მუნიციპალიტეტები და საქსტატი, ფინანსები	სამუშაო მომსახურების შედეგად ხორციელდება თავისუფალი სამუშაო ადგილების მოძიება, დასაქმების მიზნით სამუშაოს მაძიებელთა და დამსაქმებელთა უშუალო დკავშირება	მოძიებული თავისუფალი სამუშაო ადგილების რაოდენობა და მათი ეფექტუად ათვისების მაჩვენებელი	-	-				
3.4.	ინდივიდუალური და ჯგუფური კონსულტირების განვითარება/განხორციელება	სააგენტო	განათლება, მუნიციპალიტეტები და ევროკავშირი	Worknet.gov.ge-ზე რეგისტრირებული სამუშაოს მაძიებელთათვის შრომის ბაზარზე ქვეყის წესების გაცნობა, მათი კონსულტუნარიანობის ამაღლება	სააგენტოს ყველა რაიონულ ცენტრში ხორციელდება ჯგუფური და ინდივიდუალური კონსულტირებები, კონსულტირებულ სამუშაოს მაძიებელთა რაოდენობა	100,000.0	-	25,000.0	25,000.0	25,000.0	25,000.0
3.5.	პროფკონსულტირებისა და კარიერის დაგეგმვის მოსახურებების დანერგვა და გაწევა	სააგენტო Twinning პროექტი	განათლება, ახალგაზრდობა დამსაქმებლები პროფკავშირები ევროკავშირი	პროფკონსულტირების სახელმწიფო კონცეფციის შესაბამისად სოციალური მომსახურების სააგენტოში განხორციელდება პროფკონსულტაციისა და კარიერის დაგეგმვის მომსახურებები	შემუშავებულია მეთოდური გზამკვლევი. კონსულტირებულ სამუშაოს მაძიებელთა რაოდენობა	40,000.0	X	10,000.0	10,000.0	10,000.0	10,000.0

3.6	სამუშაოს მამიებელთა პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამის მხარდაჭერა (მამიებელთა შერჩევა და წარდგენა)	ჯანდაცვა განათლება, , სააგენტო	დამსაქმებლები პროფკავშირები მუნიციპალიტეტები	დასაქმების ხელშეწყობის მიზნით, შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად რეგისტრირებულ სამუშაოს მამიებელთა პროფესიული უნარ-ჩვევის ამაღლება და კონკურენტუნარიანობის გაზრდა	გადამზადებულ სამუშაოს მამიებელთა რაოდენობა, პროგრამის შემდეგ დასაქმების მაჩვენებელი	8,092,000.0	-	1,900,000.0	2,014,000.0	2,089,000.0	2,089,000.0
3.7	მოწყვლადი, დაბალკონკურენტუნარიანი ჯგუფების დასაქმების ხელშეწყობა დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობის განვითარებით	სააგენტო ჯანდაცვა	განათლება, იუსტიცია, განსახლება, ინფრასტრუქტურა, ახალგაზრდობა მუნიციპალიტეტები არასამთავრობო, დონორები, დამსაქმებლები პროფკავშირები	დაბალკონკურენტუნარიანი შრომითი რესურსისათვის თანაბარი შესაძლებლობებისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.	დაბალკონკურენტუნარიანი სამუშაო ძალის შრომის ბაზარზე ჩართვისათვის იდენტიფიცირებული ახელშეწყობი ფაქტორები, კონკრეტული წინადადებები მომზადებულია და დაწყებულია მუშაობა მოწყვლადი ჯგუფების დასაქმების ხელშეწყობისათვის	400,000.0	-	100,000.0	100,000.0	100,000.0	100,000.0
3.8.	ინფრასტრუქტურულ პროექტებში სამუშაოს მამიებელთა დროებითი დასაქმების ხელშეწყობის ღონისძიებების გატარება	სააგენტო ინფრასტრუქტურა	ჯანდაცვა მუნიციპალიტეტები დამსაქმებლები პროფკავშირები	Worknet.gov.ge-ზე რეგისტრირებული დაბალკონკურენტუნარიანი სამუშაოს მამიებლების დროებითი დასაქმება ინფრასტრუქტურულ პროექტებში	დროებით ინფრასტრუქტურულ სამუშაოებში დასაქმებული სამუშაოს მამიებლების რაოდენობა ცალკეული პროექტების და მუნიციპალიტეტების მიხედვით	-	-				

3.9.	დასაქმების ფორუმების ორგანიზება	სააგენტო ჯანდაცვა დასაქმებ ლები	განათლება ეკონომიკა, სოფელი მუნიციპალიტეტებ ი პროფკავშირები	დასაქმებლებს, პროფ. განათლების პროვადერებსა და სამუშაოს მაძიებლებს შორის უშუალო კონტაქტის დამყარება; ფორუმის მონაწილეებს შეექმნებათ გარკვეული მოსაზრებები ქვეყნის (რეგიონის) შრომის ბაზარზე არსებულ მოთხოვნა- მიწოდებასთან დაკავშირებით;	ყოველწლიურად ჩატარებულია მინიმუმ ერთი ფორუმი. ფორუმში მონაწილე სამუშაოს მაძიებელთა და დასაქმებელთა რაოდენობა, ფორუმის შედეგად დასაქმებულთა რაოდენობა (1-6თვე)	160,000.0	-	40,000.0	40,000.0	40,000.0	40,000.0
3.1 0	დასაქმების ხელშეწყობის მომსახურებათა ხარისხის მონიტორინგი*	სააგენტო Twinning პროექტი	ჯანდაცვა დასაქმებლები პროფკავშირები	სამუშაოს მაძიებლებს მიეწოდებათ ხარისხიანი მომსახურება ქვეყნის ყველა მუნიციპალიტეტის დონეზე	მონიტორინგის მეთოდური სახელმძღვანელო შექმნილია, არსებობს მონიტორინგის შედეგების ანგარიშები	10,000.0	-		10,000.0		
3.1 2	შრომის ბაზრის აქტიური პოლიტიკის კონცეფციის შემუშავება-დამტკიცება	სააგენტო	ჯანდაცვა; განათლება; დასაქმებლები პროფკავშირები	შრომის ბაზრის აქტიური პოლიტიკის განხორციელებით დასაქმების ხელშეწყობის ეფექტურობის გაზრდა	იდენტიფიცირებული ა შრომის ბაზრის აქტიური პოლიტიკის კომპონენტები და დამტკიცებულია შრომის ბაზრის აქტიური პოლიტიკის კონცეფცია	-					
4. საქართველოს შრომის ბაზარზე მოთხოვნა-მიწოდების მიმდინარე და პერსპექტიული ტენდენციების გამოვლენისა და კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობა და ინფორმაციული ბაზის შექმნა/განვითარება						40,000.0	X	10,000.0	10,000.0	10,000.0	10,000.0
4.1	რეგისტრირებული სამუშაოს მაძიებლისა და ვაკანსიების შესახებ მონაცემების დამუშავება/ანალიზი	სააგენტო	ჯანდაცვა ფინანსები საქსტატი, დასაქმებლები პროფკავშირები	შრომის ბაზრის საინფორმაციო სისტემის ერთ-ერთი წყაროს განვითარება	დადგენილი წესითა და პერიოდულად რეგისტრირებული სამუშაოს მაძიებლებისა და ვაკანსიების მახასიათებლები მიეწოდება LMIS-ს	-	X				
4.2	შრომის ბაზრის მოთხოვნის ნაწილის თვისებრივი კვლევის ორგანიზება საქართველოს რეგიონ- რაიონების მიხედვით	სააგენტო	ჯანდაცვა, განათლება საქსტატი, დასაქმებლები პროფკავშირები	შესწავლილი და განალიზებულია შრომის ბაზრის მოთხოვნა (პროფესიების, კომპეტენციებისა და ზოგადი უნარების შესახებ)	მომზადებულია და LMIS-ისთვის მიწოდებულია კვლევის შედეგები	40,000.0		10,000.0	10,000.0	10,000.0	10,000.0

4.3	შრომის ბაზრის საინფორმაციო სისტემის LMIS განვითარებაში მონაწილეობა.	სააგენტო	ჯანდაცვა განათლება საქსტატი, დამსაქმებლები პროფკავშირები	LMIS განვითარებულია და ინფორმაცია ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული მხარისთვის	რეგისტრირებულ სამუშაოს მამიებელთა, ვაკანსიებისა და რაიონულ დონეზე დამსაქმებელთა მოთხოვნის შესახებ ინფორმაცია ასახულია LMIS-ის ანგარიშებში	-					
5 კომუნიკაციისა და ცნობადობის გაზრდა						103,000.0	X	25,000.0	26,000.0	26,000.0	26,000.0
5.1	დასაქმების ხელშეწყობის საკითხებთან დაკავშირებით კომუნიკაციისა და ცნობადობის გაზრდის მიზნით სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავება	სააგენტო Twinning პროექტი	ჯანდაცვა ევროკავშირი დამსაქმებლები პროფკავშირები	ინფორმაციის სწორად გავრცელება, დასაქმების ხელშეწყობის საკითხებში სააგენტოს როლისა და ფუნქციების შესახებ მოსახლეობისა და სხვა დაინტერესებული მხარეების ინფორმირების ამაღლება.	შექმნილია სტატეგია და სამოქმედო გეგმა	-	X				
5.2	ბეჭდვითი, ტელე-რადიო ჟურნალისტთათვის ტრენინგების განსაზღვრა დასაქმების თემატიკის კუთხით და ტრენინგების ჩატარება	სააგენტო Twinning პროექტი	ჯანდაცვა ევროკავშირი მუნიციპალიტეტები დამსაქმებლები პროფკავშირები	ჟურნალისტთა ცნობიერებისა და კვალიფიკაციის გაუმჯობესება, დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო რეგულირების საკითხებზე ადეკვატური ინფორმაციის გავრცელება.	ჩატარებულია ტრენინგები გადამზადებული ჟურნალისტების რაოდენობა	63,000.0	X	15,000.0	16,000.0	16,000.0	16,000.0
5.3	შრომის ბაზრის საკითხებზე კონფერენციის (შემაჯამებელი სამუშაო წლის გეგმაში) პრიორიტეტების, როლებისა და კომპეტენციების განსაზღვრა) მოწყობა.	სააგენტო	ჯანდაცვა, ეკონომიკა, განათლება ინფრასტრუქტურა, სოფელი, ახალგაზრდობა მუნიციპალიტეტები დამსაქმებლები პროფკავშირები	შრომის ბაზრის საკითხებთან დაკავშირებული საკითხების ყოველწლიური შედეგების განხილვა, დანაკლისების იდენტიფიცირება, დისკუსიების წარმოება, რეკომენდაციებისა და მომავალი სამოქმედო გეგმის კორექტირება/შემუშავება	მომზადებულია წლიური ანგარიში, სამოქმედო გეგმის ყოველი წლის ბოლოს ჩატარებულია კონფერენცია,	40,000.0	X	10,000.0	10,000.0	10,000.0	10,000.0

შემოკლებებისა და აბრევიატურების ჩამონათვალი:

(ანბანური თანმიმდევრობით)

განათლება - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო;

დამსაქმებლები - საქართველოს დამსაქმებელთა საერთო-ეროვნული წარმომადგენლობითი გაერთიანებები;

ეკონომიკა - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო;

ევროკავშირი - ევროკავშირის მისია საქართველოში;

ინფრასტრუქტურა - საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო;

მუნიციპალიტეტები - ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები;

სააგენტო - საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო

კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი - სოციალური მომსახურების სააგენტო;

პროფკავშირები - საქართველოს პროფესიული კავშირების საერთო-ეროვნული წარმომადგენლობითი გაერთიანება;

საქსტატი - საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური;

სოფელი - საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო;

ახალგაზრდობა - საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო;

ფინანსები - საქართველოს ფინანსთა სამინისტრო;

ჯანდაცვა - საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.